



# ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 281  
01/02/2018

ქალაქი ბათუმი

281-05-4-201802010929



### **ჯუმბერ ვარდმანიძის - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის, ზვიად ხალვაშის - მერის პირველი მოადგილისა და ზურაბ კაჭახმაძის - მერიის მძღოლის ქ. თბილისში მივლინების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ - საქართველოს კანონის 51-ე მუხლის პირველი, მე-2-ე პუნქტებისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი 2018 წლის 31 იანვრის №1572/05 კორესპოდენციის შესაბამისად **ვბრძანებ:**

1. მე, ჯუმბერ ვარდმანიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერი, ზვიად ხალვაში - მერის პირველი მოადგილე და ზურაბ კაჭახმაძე - მერიის მძღოლი, მივლინებული ვართ ქ. თბილისში, სასტუმრო „რუმსი“-ში საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით დაგეგმილ - საქართველოს მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე მშენებლობის ნებართვების გაცემასთან დაკავშირებით სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობის მიზნით, 2018 წლის 01 თებერვლიდან 03 თებერვლის ჩათვლით.

2. ქ. თბილისში გადაადგილება მოხდეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებრივი ავტომანქანა ჰუნდაი ტუქსონი სახელმწიფო ნომრით LLZ-344 და გამოიყოს 120 ლიტრი საწვავი.

3. დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულების - საფინანსო-საბიუჯეტო (ტ. ნაკაშიძე) და ეკონომიკის, ქონების მართვის, სოფლის მეურნეობისა და შესყიდვების (მ. კვირიტიძე) სამსახურებს, უზრუნველყონ სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება და საწვავის გამოყოფა.

4. ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირზე დაევალოს მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა